323.352
კ 44

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტი

სოციალური სამუშაოს სამაგისტრო პროგრამა

მაგისტრანტი: თეა კვაჩიძე

სამაგისტრო ნაშრომი:

"ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების"— ადმინისტრაციული აქტის ეფექტური დანერგვა საჯარო სკოლებში

ხელმძღვანელი: შორენა საძაგლიშვილი

თბილისი

2011

LIBRARY
204861970
LEPL ILIA STATE UNIVERSITY

აბსტრაქტი ნაშრომში განხილულია ტერმინი ძალადობის ეტიმოლოგია,მისი წარმოშობა, სად იქნა ეს ტერმინი პირველად გამოყენებული. ასევე რა ტიპის ძალადობა არსებობს, რა ზემოქმედებას ახდენს ბავშვზე ძალადობა და განხილულია თითოეულისათვის დამახასიათებელი ფიზიკური და ქცევითი ნიშნები.

ასევე განხილულია სოციალური მუშაკის როლი სკოლაში და მისი ფუნქციები. ნაშრომში ასევე მიმოხილულია ბავშვთა მიმართ ძალადობა როგორ არის ასახული საქართველოს კანონმდებლობაში.

ამ ნაშრომის მიზანია შეისწავლოს პედაგოგთა დამოკიდებულება ძალადობის მიმართ, შეუძლიათ თუ არა მათ ძალადობის ფორმების ამოცნობა და ძალადობაგანცდილ ბავშვთან მუშაობა, ან იციან თუ არა ვის უნდა მიმართონ ძალადობის ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში. ასევე ნაშრომში მოცემული კვლევის მიზანია გაარკვიოს იცნობენ თუ არა პედაგოგები სოციალური მუშაკის ინსტიტუტსა და მათ საქმიანობას. განხილულია აღნიშნული კვლევის შედეგები და მოცემულია შესაბამისი რეკომენდაციები.

ძალადობა და ძალადობის ტიპები: ყოველდღიურ ცხოვრებაში ხშირია ბავშვისადმი არაღირსეული მოპყრობის შემთხვევები. ბავშვებისადმი არაღირსეული მოპყრობა არის ფენომენი, რომელიც მოიცავს როგორც სოციალურ, ეთნიკურ, რელიგიურ, კულტურულ, ისე პროფესიულ სფეროებს. ბავშვისადმი არაღირსეული მოპყრობა არის ნებისმიერი ქცევა, რაც საფრთხეს უქმნის ბავშვის